

# ეროვნული ბანკი საქართველოში ჩამოყალიბდა, როგორც საბანკო ჟანდარმერია

გაზეთი "ბანკები და ფინანსები" – 29 თებერვალი - 6 მარტი, # 290, 2012 წელი.

– ბატონო ლადო, დავიწყეთ საბანკო სექტორით, როგორც ვიცით ქვეყნის ეკონომიკის მოწინავე სექტორი 2011 323 მილიონი ლარით გავიდა მოგებაში. ჩემთვის საინტერესოა ერთი მომენტი, დეპოზიტების მომსახურება დაახლოებით 65%-ით მეტი დაჯდა ვიდრე კრედიტების საპროცენტო განაკვეთებიდან არის მიღებული, სხვაობა არის დაახლოებით 800 მილიონი ლარი. ერთის მხრივ, ამ ფულის ასე პირდაპირ ამოღება ეკონომიკიდან და მეორეს მხრივ, მხოლოდ 323 მილიონიანი მოგება, ნიშნავს თუ არა იმას, რომ ეკონომიკა ემსახურება საბანკო სისტემას და არა საბანკო სისტემა ეკონომიკას?

– საბანკო სისტემაზე საუბარი არ არის მარტივი. არის აშკარა წარმატებები – თუ საქართველოში რომელიმე ბიზნესი შეიძლება წარმატებულად შეფასდეს, პირველ რიგში, საბანკო სექტორზე უნდა ვისაუბროთ. ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული და განვითარებული სისტემა სწორედ საბანკო სექტორში შეიქმნა. თანაც გავითვალისწინოთ, რომ ეს მოხდა ყველაზე ჩამორჩენილი საბჭოური საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის პირობებში.

ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც დღე საბანკო სისტემაში რჩება, ეს არის ნდობის საკითხი. ზოგადად, ფული ეს არის ნდობა. დიდი მნიშვნელობა არ აქვს მის ვიზუალურ მხარეს, მთავარია, რამდენად აქვს ნდობა მას. როდესაც ჩვენი თანამოქალაქე უფრო მეტად ენდობა დოლარს ვიდრე ლარს, ის გამოხატავს ნდობას ამ დოლარის უკან მდგომი სახელმწიფოს მიმართ, ანუ უფრო მეტად ამერიკის ხელისუფლებას ენდობა, ვიდრე საქართველოს. მსგავსი დამოკიდებულება არსებობს ბანკების მიმართაც.

არსებული პარამეტრები აჩვენებს ერთ რამეს, რომ საქართველოში საკმაოდ მაღალია ბანკების მიერ გაწეული ხარჯები. ეს ციფრები გვიდასტურებს იმას, რომ საბანკო სექტორი საკმაოდ ძვირია. ამას აქვს რამდენიმე ახსნა:

პირველი, საფინანსო რესურსი რომელსაც ჩვენი ბანკები იყენებენ არის ევროპულ ფინანსური ბაზრებიდან მოპოვებული საკრედიტო რესურსები. როდესაც მსოფლიოში კრიზისია, ხოლო ევროზონის პრობლემები თანამედროვეობის ერთ-ერთი უმწვავესი თემაა, ბუნებრივია, ასეთ პირობებში ფული ძვირდება და პროცენტი იზრდება, შესაბამისად, ძვირდება საქართველოში შემოსული ფულიც.

მეორე, არის ის პოლიტიკა, რომლითაც მუშაობს საბანკო სექტორი. მხედველობაში მაქვს ხარჯების სტრუქტურა. ბანკების ხელმძღვანელებს საკმაოდ მაღალი ხელფასები აქვთ, ზიან ძვირადღირებულ ოფისებსა და პრესტიჟული მანქანები და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, საბანკო მომსახურებას აძვირებს. თუმცა, არ მინდა, ისე იყოს გაგებული, რომ თითქოს ეს არის მხოლოდ ქართული დაავადება, ეს ტენდენცია მთელს მსოფლიოში ასეა, გლობალური ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი სწორედ არაადეკვატური მენეჯმენტი გახლდათ. დღეს მსოფლიო საკრედიტო ინსტიტუტებში არის არაადეკვატური მენეჯმენტი, ადეკვატურია საქართველოშიც. შორს რომ არ წავიდეთ, ვნახოთ საშუალო ხელფასის თანაფარდობა საბანკო სექტორში და არასაბანკო სექტორში, განსაკუთრებით თვალშისაცემია მაღალი დონის მენეჯერების შემოსავლები. ეს ციფრები აშკარად არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიკის განვითარების დონეს.

ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული როლი ენიჭება ცენტრალურ ბანკს, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. ჩვენთვის ეს არის ეროვნული ბანკი, რომელსაც აქვს რეგულირების ფუნქცია და ვფიქრობ, რომ ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, რაზეც მთელი მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები საუბრობენ, – როგორი უნდა იყოს რეგულირება და როგორ უნდა იყოს განსაზღვრული მაღალი რანგის მენეჯერების შრომის ანაზღაურება და სხვა სახის შემოსავლები. ასე რომ, ეს პრობლემა გლობალურია და არის საქართველოშიც.

თუ წინა საკითხი, გლობალური გახლდათ, ბოლო პერიოდში ყალიბდება სრულიად სპეციფიკური, მხოლოდ ქართული ტენდენცია. მხოლოდ კუროფული შეიძლება ეწოდოს იმას, რაც საქართველოში 2011 წლის ბოლო თვეებში ხდება. ცენტრალურმა ბანკმა, იმის ნაცვლად, რომ იყოს ბანკების ინტერესების მხარდამჭერი, მათი განვითარების ხელშემწყობი, ომი გამოუცხადა საქართველოს ერთ-ერთ კომერციულ ბანკს. ყველამ კარგად ვიცით, რომ „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ ზომები არ გატარებულა, რაიმე ნორმატივის დარღვევის ან წესების არდამორჩილებისთვის. უბრალოდ ეროვნული ბანკი გახდა პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელი, რომელიც მან აშკარად მიიღო მთავრობისგან. იმის გამო, რომ ამ ბანკის მესაკუთრე ბიძინა ივანიშვილი თავისი ინიციატივით აღმოჩნდა პოლიტიკაში და დაიკავა საკმაოდ კრიტიკული პოზიცია მოქმედი რეჟიმის მიმართ, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო სადამსჯელო ოპერაცია, პირველ რიგში მისი ფინანსური ინსტიტუტების წინააღმდეგ.

**– ბატონო ლადო, საბანკო სისტემაში პოლიტიკური კონტექსტით გადაწყვეტილებების მიღება, უადრესად ფაქიზი საკითხია. რა შეუშლის ხელს, რომ პოლიტიკური კონტექსტი სხვა ბანკებისთვისაც გახდეს აქტუალური?**

– ეროვნულმა ბანკმა დაიწყო სადამსჯელო ოპერაცია „ქართუ ბანკის“ მიმართ და ამით პრაქტიკულად, სიგნალი მისცა სხვა ბანკებს, იყავით პოლიტიკურად ჩვენი მხარდამჭერები ანუ მოქმედი რეჟიმის მხარდამჭერები, ან ”უარეს შემთხვევაში” იყავით ნეიტრალურები; შემთხვევით რამე არ შეგეშალოთ და რომელიმე ოპოზიციური ძალა არ დააფინანსოთ, ხომ ხედავთ ქართუს რა მოუვიდა?! იგივე გირაოში ჩადებული ქონების წართმევის თემა გავიხსენოთ, მსგავსი სიტუაცია, თითქმის ყველა ბანკს შეიძლება დაუდგეს და ყველა კარგად ხვდება, რომ მსგავსი პრეცედენტის დაშვება, არა მარტო „ქართუ ბანკზე“ ნიშნავს წნეხის გაძლიერებას. ეროვნულმა ბანკმა თავის თავზე აიღო ის ფუნქცია, რომელიც მისი ფუნქცია ნამდვილად არ არის, ეს უდიდესი შეცდომაა. ეროვნული ბანკი საქართველოში ჩამოყალიბდა, როგორც საბანკო ჟანდარმერია.

**– გარდა ნდობის საკითხისა, თემა სხვა კუთხითაც საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მსგავსი ფაქტი არავის გაკვირვებია და საზოგადოებაში ბანკის**

მიმართ ერთგვარი სოლიდარობაც კი გაჩნდა, აღნიშნული მოვლენა ქართულ საბანკო სისტემას მაინც ძალიან მძიმედ დააწვება. საქმე ისაა, რომ ეს ფაქტები, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მიერაც ფასდება. ბუნებრივია, ერთ–ერთი წამყვანი ბანკის მდგომარეობა, გაზრდის რისკების მაჩვენებლებს მათ შეფასებებში, რაც თავის მხრივ, საბანკო სისტემის მიერ ფინანსური რესურსების მოზიდვას გაართულებს და გააძვირებს. ეს ყველაფერი კი ისევ საქართველოს ეკონომიკას, ჩვეულებრივ მოქალაქეებს დააწვებათ,..

– ეს ნდობის თემის გაგრძელებაა, თუ არ არის ნდობა, ბანკს ეზღუდება საკრედიტო რესურსის მოპოვების შესაძლებლობა და საბოლოო ჯამში, ეს აისახება კრედიტის გაძვირებაზე და თავისთავად ეკონომიკაზე.

ისევ მინდა დავუბრუნდე ეროვნული ბანკის პოლიტიზაციის თემას, „ქართუ ბანკმა“ გირაოში მიღებული ქონება დაკარგა, თავის მხრივ, საოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებენ ადამიანები, რომლებსაც ეს ქონება ეკუთვნოდათ და ფორმალურად წაართვეს. ისინი ამ პოზიციით ადასტურებენ, რომ ეს არის პოლიტიკური აქცია „ქართუ ბანკის“ მიმართ და როდესაც ეს აქცია დასრულდება, მათ დაუბრუნებენ ქონებას.

ამას კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, იმიტომ რომ ძალიან ცუდია საბანკო სექტორში პოლიტიზაცია, რაც, საბოლოო ჯამში, ცუდად აისახება არა მარტო საბანკო სექტორზე და მთლიანად ეკონომიკაზე.

– ეროვნული ბანკის მდგომარეობას გაუსვით ხაზი, ეს საკითხი ბოლო წლებში ყოველთვის პრობლემატური გახლდათ. თუმცა, გიორგი ქადაგიძის, როგორც ძლიერი პიროვნების მოსვლა ამ ინსტიტუტის სათავეში, თავის დროზე დადებითად შეფასდა...

– გიორგი ქადაგიძის მოსვლა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად თავის დროზე დადებითად შევაფასე. ჩემი იმდროინდელი ხედვა გამომდინარეობდა ობიექტური რეალობიდან. რეალობა ის იყო, რომ ლადო გურგენიძის პრემიერმინისტრობისას ეროვნული ბანკი პრაქტიკულად დაინგრა და მოიშალა, როგორც ფინანსური ინსტიტუტი. ის რაც გურგენიძემ ჩაიდინა დანაშაულია!

– თქვენ გულისხმობთ გურგენიძე-ბენდუქიძის ტანდემს?

– არ მინდა ცალკე გამოვყო გურგენიძე ბენდუქიძისგან, თუმცა საპარლამენტო ტრიბუნასთან იდგა სწორედ პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე, რომელიც მიზანმიმართულად ანგრევდა საქართველოს ეროვნულ ბანკს. ამ დროს არსებობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოკრძალებული, მაგრამ მაინც ნეგატიური პოზიცია ეროვნულ ბანკში მიმდინარე პროცესების მიმართ. არსებობდა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წინააღმდეგობა. თუმცა, ეს ყველაფერი უგულველყოფილ იქნა. საქართველოს საბანკო სისტემის ცენტრი, ეროვნული ბანკი გლობალურ ფინანსურ კრიზისს პრაქტიკულად დანგრეულ მდგომარეობაში შეხვდა. უნდა გავიხსენოთ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის დავით ამალაშვილის უაღრესად ნეგატიური როლიც. მას ჰქონდა იმედი, რომ დანიშნავდნენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად და რატომღაც თვლიდა, რომ ამ სავარძელს იმ შემთხვევაში დაიკავებდა, თუ უპირობოდ დაუჭერდა მხარს გურგენიძის მთავრობის ყველა ინიციატივას.

ამ ფონზე, ქადაგიძის მოსვლა, და ის ფაქტი რომ ეროვნულ ბანკს წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ პრეზიდენტი ჰყავდა, რომელმაც დანგრეული სტრუქტურის აღდგენა დაიწყო, მართლაც დადებითად შეფასდა. თუმცა, ქადაგიძემ დაუშვა რამდენიმე უპატიებელი შეცდომა, ამ შეცდომების ხასიათი ყოველთვის ატარებდა პოლიტიკურ შინაარსს, რაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, დაუშვებელია. 2010 წლის არჩევნების წინ ეროვნულმა ბანკმა აშკარად ხელოვნურად დაიჭირა ლარის კურსი, ხოლო შემდეგ მიუშვა პროცესები და ლარი დოლართან მიმართებაში ნახტომისებურად დაეცა. მან შემდეგ აღიარა კიდევ, რომ ამას შეგნებულად აკეთებდა. ანუ გამოვიდა რომ ეროვნული ბანკი შეგნებულად ასრულებდა პოლიტიკურ დაკვეთას. ხოლო ის რაც ახლა „ქართუ ბანკთან“ დაკავშირებით მოხდა, ამაზე უკვე ვისაუბრეთ და ეს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

კიდევ ერთი რამ არის საინტერესო. საერთოდ არ მესმის რას აკეთებს ამ სიტუაციაში საქართველოს საბანკო ასოციაცია. თუკი არსებობს საბანკო ასოციაცია, ის უნდა იცავდეს ბანკის ინტერესებს, არ შეიძლება, თუნდაც პრობლემა ეხებოდეს ერთ ბანკს ამ დროს ის არაფერს აკეთებდეს. გასაგებია რომ, თავად ბანკები ვერ ბედავენ პოზიციის დაფიქსირებას, ეს მაინც ფაქიზი საკითხია, მაგრამ ასოციაცია სწორედ ამისთვის არსებობს.

ბანკს ყველაზე მეტად სიმშვიდე სჭირდება, ამიტომ არ შეიძლება ბაკები იყვნენ ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში. „ქართუ ბანკი“ აიძულეს რომ ჩართულიყო, სხვა ბანკები რომ სდუმან ეს მესმის. მაგრამ სწორედ იმისთვის, რომ ბანკებმა თვითონ არ ისაუბრონ, შექმნეს მათი ინტერესების დამცველი ორგანო, და ამ ეტაპზე საბანკო ასოციაცია უნდა საჯაროდ გამოხატავდეს პოზიციას „ქართუ ბანკის“ მიმართ განხორცილებილი ტერორის შესახებ.

– ლარის კურსის თემით გავაგრძელოთ. წინა კვირას იყო ძალიან სერიოზული რყევები, რამდენიმე დღის განმავლობაში, ლარი ჯერ გამყარდა, ხოლო შემდეგ ჩვეულ ნიშნულს დაუბრუნდა. ავუხსნათ მკითხველს, როგორ დგება ლარის კურსი და რა განაპირობებს ასეთ რყევებს... მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ფართო მასებისთვის, ასე მცირეხნიანი ცვლილებები, არც თუ მტკივნეული შეიძლება იყოს, ფაქტია, რომ ვალუტის კურსის რამდენიმეპუნქტიანი ცვლილებებიც კი, შეიძლება ვინმესთვის დიდი ფულის შოვნის საშუალება გახდეს...

– ფული როგორ იშოვება, ბევრმა ეს შესანიშნავად იცის, – თუ წინასწარ გაქვს ინფორმაცია რა მოუვა ლარის კურსს, შეგიძლია ამაზე გარკვეულად თამაში.

აქ ერთი მომენტიცაა, საზოგადოებაში არის გავრცელებული ყოფითი განმარტება, რომ ეროვნული ბანკი ხელოვნურად იჭერს კურსს. როცა ხელოვნურად დაჭერაზე ვსაუბრობ აქ ცოტა სხვა რამეს ვგულისხმობ, ვიდრე ეს გავრცელებულია ყოფით საუბრებში. ეროვნული ბანკი სწორედ იმისთვის არის შექმნილი, რომ ის აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სავალუტო კურსის ფორმირებაში. ჩვენი სავაჭრო ბალანსი კატასტროფულად უარყოფითია. ვაჭრობაში ჩვენ მოგებულ ერთ დოლარზე ექსპორტიდან ვკარგავთ სადღაც 4 დოლარს. აქედან გამომდინარე, საქართველოს საგარეო ვაჭრობით ოთხჯერ უფრო მეტი დოლარი გაედინება, ვიდრე შემოდის, შესაბამისად, სავალუტო ნაკადებში ბალანსი მიიღწევა სხვა წყაროებით, – ფულადი გზავნილებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, ქვეყნაში ტურიზმის განვითარებით და ა.შ. ეროვნული ბანკის ამოცანაა შეინარჩუნოს სტაბილურობა გაცვლით კურსთან მიმართებაში, ბანკი, რა თქმა უნდა, უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესში, რისთვისაც გამოიყენება სპეციალური ინსტრუმენტები,

ანუ, ნუ ვიტყვით რომ ეროვნული ბანკის ყოველი ჩარევა არის კურსის ხელოვნური დაჭერა.

ხელოვნური ჩარევა, რაზეც მე ვსაუბრობ, არის ის შეცდომა, რომელიც დაშვებული იყო, მაგალითად, 2008 წლის შემოდგომაზე. აშკარა იყო რომ ქვეყნიდან გაედინებოდა დოლარები და ეროვნული ბანკი დიდი ოდენობით ხარჯავდა რეზერვებს, რომ დაეჭირა კურსი. შემდეგ უცებ აღმოაჩინეს, რომ თურმე ამ პროცესების შედეგად ბანკმა 300 მილიონი იზარალა და უცებ მიუშვა კურსი ისე, რომ დაფიქსირდა 15%-იანი ვარდნა. დაახლოებით მსგავსი რამ, ოღონდ გაცილებით მცირე მასშტაბებით, დაფიქსირდა, 2010 წელს, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.

– ბატონო ლადო, ამ ტენდენციის პარალელურად რამდენად შესაძლებელია, რომ საუბრის დონეზე დავუშვათ გარკვეული სპეკულაციური გარიგებების არსებობა. რა თქმა უნდა, ზუსტი ციფრებისა და ფაქტების შესახებ საუბარი ძალიან ძნელია, მაგრამ ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ არსებობს გარკვეული კორუფციული გარიგებების შესაძლებლობა...

– როდესაც ვალუტის კურსის რყევები ხდება, ყოველთვის არსებობს მსგავსი გარიგების შესაძლებლობა. მით უფრო, რომ ასეთ შემთხვევებში ეროვნული ბანკის ქმედებები აშკარად არაადეკვატურია. ბუნებრივია, იბადება გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ აქ შეიძლება რაღაც გარიგება არსებობდეს გარკვეულ პირებს შორის და სულაც არ არს გამორიცხული თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს ეროვნული ბანკი გახდა ძალიან პოლიტიზირებული. შეიძლება არსებობდეს ბაზარზე ე.წ. ფავორიტი მოთამაშეები, რომლებიც ამ პროცესებიდან გარკვეულ სარგებელს იღებდნენ.

კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ ჩვენ გვაქვს გონივრული ეჭვის გამოთქმის უფლება, თუმცა, კონკრეტულად ასე ხელს ვერავის დავადებ. ერთი რამ ნათელია, თუ საჭირო იქნება, შეიძლება ჩატარდეს შესაბამისი მოკვლევა, რა დროც არ უნდა გავიდეს და დადგინდეს კონკრეტული ფაქტები. თუ იქნება ამის პოლიტიკური ნება, რომ ეს ოდესმე გაირკვეს, ამის გარკვევა ტექნიკურად შესაძლებელია.

– თქვენ ისაუბრეთ, რომ უარყოფითი სავაჭრო სალდოს დაბალანსება, ინვესტიციებით და ფულადი გზავნილებით ხდება. პრემიერმა რამდენიმე დღის წინ

განაცხადა, რომ მიმდინარე წელს საქართველოს ეკონომიკაში 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციას ელოდება. ერთის მხრივ, რამდენად დააბალანსებს ეს 1 მილიარდი უარყოფით სავაჭრო სალდოს და, მეორეს, მხრივ, რამდენად რეალურია მთავრობის მოლოდინი ინვესტიციების მოცულობასთან დაკავშირებით.

– მეორე საკითხიდან დავიწყით, ამ კუთხით გარკვეული სკეპტიციზმი არსებობს. 2012 წელი არჩევნების წელია, პოლიტიკურად არასტაბილური წელი, ხოლო ამ სიტუაციისთვის დამახასიათებელია ინვესტირების პროცესის შეფერხება. და თუ მაინც შემოვა ასეთ ვითარებაში ინვესტიციები, ეს იქნება ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან მეტნაკლებად საექვო კაპიტალი, რომელიც ძირითადად ფოკუსირებული იქნება უძრავ ქონებაზე. აქედან გამომდინარე, ეს ციფრი ძალიან საექვოდ მეჩვენება.

თუ სიტუაციას პოლიტიკურადაც შევაფასებთ, უდიდესი მნიშვნელობა ექნება არჩევნებს, რომლის სამართლიანად ჩატარება სასიცოცხლოდ აუცილებელია. დღეს ინვესტორებისთვისაც არსებობს ცვლილებების მოლოდინი, რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ გააჩინა. მანამდე ყველამ კარგად იცოდა, რომ ნაციონალური მოძრაობა აკონტროლებდა ქვეყანაში ყველაფერს, მათ შორის ბიზნესსაც, შესაბამისად, აქ ჯანსაღი ინვესტიციის შემოდინება პრაქტიკულად გამორიცხული იყო. დღეს უკვე ინვესტორებში არსებობს მოლოდინი, რომ პოლიტიკური პლურალიზმი ბაზარზე კონკურენციის გამოცოცხლებას შეუწყობს ხელს. თუმცა, თუ არჩევნები გაყალბდება, იმის შანსი დიდია, რომ დაიწყოს გამოსვლები და დესტაბილიზაცია, ასე რომ, სამართლიანი არჩევნები ქვეყნის ეკონომიკისთვის უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

რაც შეეხება, მილიარდიან ინვესტიციებზე საუბარს, ეს უფრო პიარის საკითხია, ვიდრე რეალობა. არსებობს ერთი ვარიანტი, რომ თავად ივანიშვილმა დახარჯოს ეს ფული, მაგრამ ესეც გამორიცხულია, ორი მომენტის გამო, – პირველი, მთავრობამ ისეთი ფინანსური ბარიერები შექმნა, რომ ფულის ხარჯვა პოლიტიკური ოპონენტის მხრიდან მაქსიმალურად შეზღუდულია. ხოლო, მეორე არის თავად ბიძინა ივანიშვილის ხედვა, – რაც ყველაზე ძალიან მომწონს ივანიშვილში, რაც განასხვავებს მას წინამორბედი მილიარდერისაგან, ბატონი ბიძინა არ აპირებს ფულის დარიგებას და ცრუ ილუზიების



შექმნას. ის სწორ პოლიტიკურ გათვლებზე აკეთებს აქცენტს და არა ფულის ხარჯვაზე. ივანიშვილი არ უშვებს იმ შეცდომას, რასაც პატარკაციშვილი უშვებდა, რითაც ყველაზე მეტად ამით აღიზიანებს ხელისუფლებას.

რაც შეეხება მეორე საკითხს, თუ რამდენად დააბალანსებს საგარეო ვაჭრობაში უარყოფით სალდოს ინვესტიციები, მინდა ვთქვა, რომ მთავრობის ხელთ ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული რესურსები. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს 2008 წლის ბრიუსელის კონფერენციის შედეგად საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარება, რომლისგანაც, როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, მილიარდნახევარი კიდევ ასათვისებელია.

**– როდესაც ქვეყანაში ფულის შემოდინებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ ფულადი გზავნილები უცხოეთიდან. ცოტა უცნაური მეჩვენა ის ფაქტი, რომ სერიოზული პრობლემების წინაშე მდგარი საბერძნეთიდან ფულადი გზავნილები იანვარში 4-ჯერ გაიზარდა, პირველ რიგში როგორ ახსნით ამ ფაქტს და, ბუნებრივია, უნდა ვისაუბროთ ევროზონაში შექმნილ სიტუაციაზე, რა დაემართა ევროს?**

– ევრო თავიდანვე შეცდომით იქნა შემოღებული, რამაც საბოლოო ჯამში ევროზონა მიიყვანა კრიზისამდე. ამის შესახებ, ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 2010 წელს ჩატარდა ბაქოში, სადაც მიწვეული გახლდით, საჯაროდ თქვა რობერტ მანდელმა. ის არის ევროს "მამა", მისი ერთ-ერთი შემქმნელი და ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში. ყველამ კარგად ვიცით, იმისთვის რომ ვალუტა იყოს სტაბილური მას სჭირდება ორი ინსტიტუტის ქმედითი საქმიანობა, პირველი ეს არის ცენტრალური ბანკი, რომელიც არის ამ ვალუტის ემიტენტი და მეორე ეს არის მთავრობა ანუ მისი ბიუჯეტი.

ერთი სიტყვით, იდეა, რომელიც ევროში ჩაიდო, იყო მცდარი. შეიქმნა მხოლოდ ერთი ინსტიტუტი, ცენტრალური ბანკი, მაგრამ ერთიანი ბიუჯეტი ევროზონას არ ჰქონია, ანუ ევრო თავიდანვე იდგა ცალ ფეხზე. პრობლემის სათავე არის ის, რომ ევროს უკან არ დგას ევროზონის ერთიანი ბიუჯეტი.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებს ჰქონდათ აღებული ვალდებულება, როგორი უნდა იყოს საგარეო ვალის და ბიუჯეტის დეფიციტის მიმართება მთლიან შიგა პროდუქტთან, ეს ერთიანი ბიუჯეტს მაინც არ ნიშნავს, რამეთუ ნებისმიერ ქვეყანას აქვს საგარეო ვალის აღების და მისი შეხედულებისამებრ განკარგვის სუვერენული უფლება. აღმოჩნდა ძალიან საინტერესო რამ, თურმე საბერძნეთის მთავრობა წლების განმავლობაში ატყუებდა ბრიუსელს. საბერძნეთის მთავრობა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესახებ, მცდარ ინფორმაციას იძლეოდა. წარმოვიდგინოთ სახელმწიფო, მაგალითად საქართველო, მას არ აქვს ერთიანი ბიუჯეტი და ყველა მისი რეგიონი საკუთარი შეხედულებისამებრ ხარჯავს ფულს. ბუნებრივია, ეროვნული ვალუტა ვერ იქნება მყარი და პროგნოზირებადი. ასე ხდება ევროკავშირშიც, ანუ, ის ნაბიჯები, რომელიც ერთიანი ვალუტის არსებობას სჭირდება, ბოლომდე არ არის გადადგმული.

– რა არის პერსპექტივა?

– ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტა არის ის, რაც თქვა შროდერმა ევროპის შეერთებული შტატების შექმნის შესახებ. შორს რომ არ წავიდეთ, ევროკავშირის სჭირდება ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი, კონკრეტულად ევროზონის ქვეყნებს.

თუ ევროზონას უნდა იყოს სტაბილური, წარმატებული ევროზონის ქვეყნები აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ ერთიან ბიუჯეტზე, ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ევროზონაში შემავალმა ქვეყნებმა უარი უნდა თქვან თავიანთ დამოუკიდებელ ბიუჯეტზე, ამ ქვეყნებისთვის უნდა იყოს რეგიონული ბიუჯეტები, რომლებიც იქნება, ერთიანი ევროზონის ბიუჯეტის ნაწილი. ეს არის ყველაზე სწორი გამოსავალი ეკონომისტის პოზიციიდან, თუმცა, საკითხი არც ასე მარტივია, ეს პოლიტიკურად ძალიან რთული გასაკეთებელია. ევროპის საბოლოო გაერთიანება, ძალიან რთული და ემოციური საკითხია, ამაზე მეტყველებს, თუნდაც ის, რომ საფრანგეთსა და ნიდერლანდებში გამართულ რეფერენდუმზე, ევროკავშირის ერთიანი კონსტიტუცია ჩავარდა, რამაც პროცესი შეაფერხა. ამასთან საგულისხმოა, რომ ევროკავშირის ლიდერ ქვეყნებს გერმანიას, საფრანგეთს, ბრიტანეთს არ ჰყავთ ევროპის მასშტაბის ლიდერები.

საინტერესო თემაა ბრიტანეთი, რომელიც არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ არ არის ევროზონაში. ბრიტანეთი ზარალდება ევროს არასტაბილურობით, მას სერიოზული სავაჭრო ურთიერთობები აქვს ევროზონის ქვეყნებთან, ამ დროს, ბრიტანეთმა აშკარად მეორე პლანზე გადაწია ევროკავშირის ინტერესები და საკუთარი ინტერესები დააყენა წინა პლანზე. ამ ფონზე, ევროპის ერთიანი ბიუჯეტის შექმნაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა.

დგას საკითხი, რომ პრობლემური ქვეყნები გაიყვანონ ევროკავშირიდან, თუმცა, ამის მექანიზმიც ჯერ-ჯერობით არ არსებობს. თუნდაც საბერძნეთის გაყვანა ევროზონიდან, ძალიან რთული იქნება, ეს პროცესი საწინდარი იქნება თავად ევროზონის დაშლის.

საინტერესოა საკითხი, რომელიც თქვენ დასვით – საბერძნეთიდან ფულადი გზავნილების გაზარდა. ეს თითქოს პარადოქსია, მაგრამ ახსნადია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მოსალოდნელი დეფოლტის შიშით საბერძნეთიდან მასობრივად გაედინება ფული, ის დანაზოგები, რომლებიც ამ ქვეყანაში რჩებოდა, რაც ამ ქვეყნის პრობლემებს კიდევ უფრო დაამძიმებს. თანაც, საბერძნეთის დეფოლტი ჯერ კიდევ არ არის დღის წესრიგიდან მოხსნილი.

**– თუ საბერძნეთში სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმდება, ბუნებრივია, ეს შეეხება საქართველოსაც, უამრავი ჩვენი თანამოქალაქე დაკარგავს სამუშაოს, რამდენად დააწვება ეს ჩვენს ეკონომიკას?**

– თუ საბერძნეთი დეფოლტისკენ წავიდა ეს უარყოფითად აისახება ჩვენს ეკონომიკაზეც. ის ხალხი ვინც დანაზოგებს აგზავნის სამშობლოში, მათ უნდა ეძებონ ახალ სამუშაო, პირველ რიგში, მათი მცდელობა იქნება, რომ ეს პრობლემა გადაწყვიტონ საქართველოში.

ესაუბრა

**ზურა კუკულაძე**